

## ბ ხორვანის დაპოლოგულ სახელთა საკითხისათვის

თანამედროვე ქართულში - ა სუფიქსით ნაწარმოები რამდენიმე ტიპის სახელი გვაქვს. სახელდობრ, -ა-სუფიქსიანი ზოგი კინობითი, დანიშნულების, წარმომავლობის, ქონების... სახელი<sup>1</sup>.

- ა სუფიქსი, რომელიც აწარმოებს სახელის კინობით-საალერსო ფორმას, დაერთვის ორგორც საზოგადო სახელებს, ისე საკუთარებაც, ოღონდ საზოგადო სახელებიდან ივი, ჩვეულებრივ, ერთეის თან-ხმოვანფუძიანებს<sup>2</sup>, ხოლო საკუთარიდან — ხმოვანფუძიანებსაც, მა-გალითად: კაცა, ქალა, ვაჟა, გორა, ცხენა, ღვეზელა, დედოფალა... ბეჭანა, სიმონა, დაცითა, ნოდარა, პავლია<sup>3</sup>, გუგუა, ვანუა...

- ა-სუფიქსიანი დანიშნულების სახელები ნაწარმოებია ან სა-ურ (დისიმილაციით -ულ), სა—არ-აფიქსებიანი დანიშნულების სახელე-ბისაგან: სათაურა, სათითურა, სათბურა, სამკედრულა, საბუღარა... ან, უფრო ხშირად — მყოფადის მიმღეობის უშმინსწინო ფორმები-საგან: სახრჩობელა, საფრთხობელა, საფტეკელა, საპოვნელა, სათრე-ველა, საქანელა, სათბელა, საწოვარა, სატყუარა, საღუღარა... ძირითადად -ურ (დისიმილაციით -ულ) წარმომავლობის სახე-ლებისაგან იწარმოება აგრეთვე - ა-სუფიქსიანი წარმომავლობის სა-

1 ექ ჩვენ არ შევხებით ისეთ შემთხვევებს, სადაც - ა სუფიქსი მხოლოდ ის-ტორისული ანალიზის შედეგად გამოიყოფა, დღეს კა ეს სახელები პარალელურ — ა-ნიან და უ-ა-ნო ფორმებს გვიჩვენებენ, როგორიცაა: მელი//მელა წიწილი//წი-წილა, ჭარბელი//ჭარბელა, წურბელი//წურბელა, წიფელი//წიფელა, პიპი-ლი//პილილა, ზაფრანი//ზაფრანა, მუკი//მუკა და სხვ. იმს შესახებ იხილე: ალ. მან ჯალაძე, - ა ხმოვანს დასრულებული ზოგი სახელის ფუძის ავტო-ლებისათვის ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენგაში, წ. I, თბ., 1956.

2 ხმოვანფუძიანი სახელი ამ -ა-ს ვერ დაირთავს იმის გამო, რომ იგი ფუძი-სეულ ბოლო ხმოვანზე გავლენას ევრ მოახდენს, უშეალოდ ფუძეზე დართვისას კი ჯვალა შემთხვევაში მეშვეოლი ზონის -ა-დ გაიგება (შდრ.: კატა, ზაგეა, ხბოა, რუა...), თუმცა იშვიათად ამ წარმოებისაა ზოგი - ა-ხმოვანფუძიანი სახელი, ოღონდ ამ შემ-თხვევაში მაწარმოებელია - ია სუფიქსი: დაია, ძამია, ბიძია...

3 ამ შემთხვევაში -ა-დ--ეა, სავავა ნაწარმოები ხელობის სახელები: შესოფლა. შეთოვლა, მექოთნა, მეხორცა, მეზამითრა, მელადვია, მემატლია...

ხელებიც: რაჭულა, ყირიმულა, გორულა, მეგრულა, ჩინურა, თათ-რულა, ფრანგულა, აფხაზურა, კახურა...

ზოვადიდ, როგორც დანიშნულების, ისე წარმომავლობის სახე-ლებს ენაში, ჩვეულებრივ, ზედსართაული მნიშვნელობა აქვს, მაგ-რამ იმავე სახელებზე -> სუფიქსის დართვის. შემდეგ ისინი არსებითი სახელის ფუნქციით გვივლინებიან. -> სუფიქსი ამ შემთხვევაში თითქოს მასუბსტანტივებელ მნიშვნელობას იძენს (შდრ.: სამკერდუ-ლი — სამკერდულა, საპოვნელი — საპოვნელა; სათრეველი — სათრეველა... რაჭული — რაჭულა, გორული — გორულა, აფ-ხაზური — აფხაზურა, თათრული — თათრულა, ფრანგული — ფრანგულა და სხვ.)<sup>4</sup>. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ძირითადად ითქმის წარმომავლობის სახელებზე, ხოლო ზემოაღნი-შნულ დანიშნულების სახელებს (სა—ურ, სა—არ—აფიქსებიან სახე-ლებსა და სა—ელ, სა—არ—აფიქსებიან ვნებითი გვარის უზმნისწინო შიმღებებს) -> სუფიქსის გარეშეც უმეტეს შემთხვევაში დაკარგუ-ლი აქვთ ზედსართაული მნიშვნელობა და ფაქტიურად აჩსებით სა-ხელებს წარმოადგენენ, როგორიცაა: სათაური, სათითური, სათბუ-რი, სათაგური, საგზური, სახელური, საფასური, სამაჯუ-რი, საგანძური, სამსახური, სათოფური, საცეცხლური, საბუდარი, სამძიმარი, საწვიმიარი... საბევერლი, საფხეცელი, საშლელი, სათლე-ლი, საჭრელი, სათიბელი, საფრენევალი, სატეხელი, საფეოქელი, სა-ძრობელი, სარეკელი, სადუღარი, საწოვარი, სატყუარი, საფუარი, საჩუქარი, საჩივარი...

ღლნიშნულ სახელთა ->-ნიან და უ-ა-ნო ფორმათა შორის ზოგ-ჭერ სემანტიკური სხვიობა იღარც კი შეიმჩნევა (სათითურა//სათი-თური, საფხეცელა//საფხეცელი, საჭერელა//საჭერელი, საწოვარა// საწოვარი, სადუღარა//სადუღარი...), რიგ შემთხვევაში კი გახსხვავე-ბული წარმოების სახელები სემანტიკურადაც განსხვავებულია (სა-თაურა — სათაური, სათბურა — სათბური, საფეოქელა — საფეოქელი, საფეო-ქელი, სათიბელა (მანქანა) — სათიბელი (პატირა ნამგალი)...

ქართულში ყველაზე მეტად გავრცელებულია -> სუფიქსით ნა-წარმოები ქონება-მსგავსება-თვისების გამომხატველი სახელები.

ღლნიშნული წარმოებისა შეიძლება იყოს როგორც მარტივი სა-ხელი (ქონირა, ცხვირა, თეთრა, ღრუტუნა, ჭაჭლანა, მძინარა, მათ-რობელა), ისე კომპოზიტი (დიდოვალება, ძირმაგარა, ასფურცელა, ღორმუცელა, ენიჭიარტილი...).

4 -> სუფიქსის მასუბსტანტივებელი მნიშვნელობის შესახებ იხ. ბ. პაპიძე, -> სუფიქსის სატყვავაშიარმოებითი ფუნქციები: ქართული ენა და ლიტერატურა სკო-ლაში, 1974 წ., № 1; ფ. ვაკე ლათია, -> სუფიქსის მასუბსტანტივებელმატრო-ნიშებელი ფუნქციისათვის ქართულში: ონომასტივა, I, თბ., 1987.

მარტივი სახელებიდან - ა სუფიქსი შეიძლება დაერთოს როგორც არსებით სახელს, ისე, შედარებით იშვიათად, ზედსართავადა სახელშმნასაც, ოღონდ ისევ იმ შემოხვევაში, როცა ეს სახელი ბი თანხმოვანიფუძნებია.

მაგალითები:

აბრეშუმა, უნაგირა, ნაფოტა, გვირგვინა, ნამცეცა, საგარცხელა, შაქარა, კიტრა, წიწმატა... ოეთრა, ლურჯა, ხუჭუჭა, მსუქანა... ციმციმი, ლაქლაქი, ტრაბახა, ღრუტუნა, ტიტინა... მტირალა, მჩხავანა, მჭამელა, მახრჩბელა, მაბეზლარა...

აღსანიშნავია, რომ მასდარებიდან, ჩვეულებრივ, -ა-სუფიქსიანია ე. შ. პირველადი მასდარები, ანუ მოქმედების ომნიშვნელი პირველადი სახელები, რომლებიც წარმოშობით ფუქეგაორკეცებული ან ხმაბაძვითი ფორმებია და რომელთაგანაც, სხვა მასდარებისაგან განსხვავებით, იწარმოება ზმნები: შიშინი (შიშინებს) — შიშინა, ყიყინი(ყიყინებს) — ყიყინა, ჭრიჭინი (ჭრიჭინებს) — ჭრიჭინა, ზუზუნი (ზუზუნებს) — ზუზუნა, ღრუტუნი (ღრუტუნებს) — ღრუტუნა, ხრაშუნი (ხრაშუნებს) — ხრაშუნა, ჯაჭლანი (ჯაჭლანებს) — ჯაჭლანა, ბზუილი (ბზუილს) — ბზუილა...

ზემოთ დასახელებული წარმოების მარტივ სახელებში არსებით სახელებთან - ა სუფიქსი, ძირითადად, გამოყენებულია მსგავსების აღსანიშნავად (უნაგირა=უნაგირის მსგავსი, გვირგვინა = გვირგვინის მსგავსი, საგარცხელა = საგარცხლის მსგავსი და ა. შ.), ზედსართავებსა და სახელშმნებთან კი იგი, უმთავრესად, ქონება-თვისების გამომხატველია (ლურჯა=ლურჯი ფერის მქონე, ხუჭუჭა=ხუჭუჭი თმის მქონე... ციმციმა=მოციმციმე, რაც ციმციმებს, ლაქლაქა=მოლაქლაქე, ვინც ლაქლაქებს... მჭამელა=ვინც ან რაც ჭამს, მტირალა=ვინც ტირის და ა. შ.).

ამ მხრივ დასახელებული ფორმებისაგან გამოირჩევა - ა სუფიქსით მიღეობისაგან ნაწარმოები სახელები, რომლებიც სემანტიკურად, ჩვეულებრივ, დიდად არ განსხვავდებიან ამოსავალი მიმღეობებისაგან, როგორიცაა: მათრობელი — მათრობელა, მჭამელი — მჭამელა, მახრჩბელი — მახრჩბელა, მკვნეტელი — მკვნეტელა, მათხოვარი — მათხოვარა, მაბეზლარი — მაბეზლარა, მტირალი — მტირალა, მყვირალი — მყვირალა, მჩხავანი — მჩხავანა და სხვ. (შდრ.: უნაგირი — უნაგირა, საგარცხელი — საგარცხელა, ლურჯი — ლურჯი, ხუჭუჭი — ხუჭუჭა, ციმციმი — ციმციმა, ლაქლაქი — ლაქლაქი...).

ქართულში უფრო ხშირია ქონება-თვისების - ა სუფიქსით ნაწარმოები კომპოზიტები, რომლებიც, უპირატესად, შედგენილია ორი (ან, იშვიათად, მეტი) სახელისაგან — არსებითი, ზედსართავი, რიც-

ნვითი სახელებისა ან სახელზმნისგან და რომლებშიც კომპოზიტის პირველი წევრი, ჩვეულებრივ, ფუძის სახით არის წარმოდგენილი. ამ ტიპის ფორმებიდან ყველაზე ხშირია არსებითი და ზედსართავი სახელების შეერთებით მიღებული კომპოზიტები. ამასთან, ასეთ შემთხვევებში არსებითისა და ზედსართავის ადგილი მყირი არ არის: პირველ ადგილზე ერთიც შეიძლება იყოს და მეორეც. არც ისეთი შემთხვევებია იშვიათი, როდესაც ამ რიგის -ა-სუფიქსიან სახელთა პარალელური ფორმები დასტურდება.

აქვე შევნიშნავთ, რომ ქონება-მსგავსება-თვისების -ა ხმოვანს უკეთ იგუებს არსებითი სახელი, და ეს გასაგებიცაა, რადგან ზედ-სართავი ისედაც საგნის თვისებას ან ნიშანს გამოხატავს (ქონების -ა-ან სუფიქსიც ხომ, ჩვეულებრივ, არსებით სახელთან გვხვდება). ამიტომ უფრო ბუნებრივი და გავრცელებული სწორედ ის კომპოზიტებია, რომლებშიც არსებითი სახელია ბოლო ადგილზე.

რაც შეეხება კომპოზიტის სემანტიკურ შედგანილობას, ავ მხრივ, ცადადია, ისეთი სახელები შეიძლება დაუკავშირდეს ერთმანეთს, რომელთაგან ერთ-ერთი მეორის დასახასიათებლად შეიძლება გამოიყენებოდეს, ორიცე ერთად კი სხვა საგნის ნიშანზე მიუთითებდეს.

მაგალითები:

### ზედსართავი სახელი — არსებითი სახელი

დიდობა, ხმელფოთლება, მაღალყელა, მოკლეკისერა, წვრილ-წელა, გრძელცვირა, სქელტუჩა, თხელკანა, დაბალქუსლა, ხშირ-ბეწვა, ციცასისხლა, მსხვილძირა, ლამაზთვალება, მაგარებილა, შავ-ტარა, თეთრწვერა, ყვითელნისკარტა, წითელპერანგა, ლურჯქათი-ბა...

შდრ.: თავღილა, ყელმაღალა, ფეხწვრილა, ცხვირგრძელა, ტუჩ-სქელა, თვალებლამაზა, წვერთეთრა...

### არსებითი სახელი — ზედსართავი სახელი

ყურდილა, კუდგრძელა, ძვალმსხვილა, ფეხმაღალა, ყელდაბალა, ძირტკბილა, ტანხმელა, გულჭრელა, წელწერწერა, ყურცევიტა, თავ-ბრტყელა, თმახუჭუჭა, თვალშავა, კანთეთრა, თავუკვითელა, ლოყა-ჭითელა...

შდრ.: დიდყურა, გრძელკუდა, მაღალფეხა, დაბალყელა, ჭრელ-გულა, ბრტყელთავა, წითელლოყა...

<sup>5</sup> იგივე ვითარებაა ქონების -ა სუფიქსის დართვის მხრივ სახლუბში.

<sup>6</sup> სწორედ ამიტომ ქართულისთვის არაუცალური ფორმებია: მახვილფეხა, ხუ-ჭუჭებილება, მაღალკანა, თავწერწერა, ტუჩმავარა, შრავალტანა, გულჭერინა, თვა-ლებრიდილა და სხვ.

## რიცხვითი სახელი — არსებითი სახელი

ამ ტიპის კომპოზიტებში რიცხვითი სახელი ყოველთვის პირველ ადგილზეა:

ერთნაშინა, ერთმწერივა, ორტუჩა, ორრიგა, სამწვერა, სამყურა, ოთხთვილა, ხუთთოთა, ხუთთავა, შვიდფეხა, რვაფეხა, ცხრაულელა, ოთრმეტგვა, ასფურტულა, მრავალძარღვა, მრავალწახნაგა...

იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი სახელები, როგორიცაა: ფე(რ)ხმრავალა, წვერცამეტა... პირველი ძველია და ნიშნავს კიბორჩხელას<sup>7</sup>, მეორეს დაცინის მნიშვნელობა აქვს და ქეგლ-ში გამარტებულია, როგორც მეჩხერი, თხელი წვერის მქონე — თხელწვერა (მღვდელი). წვერცამეტა ხუცესი. — „უყურე ამ წვერცამეტას, რავარი ჭორი გაუზრდია!“ (ა. ბელ.)<sup>8</sup>.

## არსებითი სახელი — სახელზნა

ამ წარმოების კომპოზიტებში სახელი მუდმივ პირველ ადგილზეა. ამასთან, არცთუ იშვიათად, მიმღეობებთან გარკვეული ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი (ძირითადად ნათესაობითი), ხოლო მასდარებად აღნიშნულ შემთხვევაში კვლავ ე. წ. პირველადი მასდარებია გამოყენებული:

ენაჭიერებია, თვალებბრიალა, ხმაწერიალა, რტოებშრიალა, ასოკირკიტა, წვერცანცარა, კუდჭიცინა, ფრთაფარფატა, ყურებბარტყუნა სახეცერიალა... რკინისმკვნეტელა, ფერიმჭამელა, ძუძუმწოვარა, ბოლომძვარა, ღობემძერალა...<sup>9</sup>.

ზემოთ დასახელებულ კომპოზიტებში, გარდა სახელითა და სახელზნით შედგენილი ფორმებისა, რომლებშიც უმთავრესად ქვლავ საგნის თვისებაა გამოხატული, — ა სუფიქსი ყველგან ყოლაქინებაზე მიუთითებს და თითქმის ყველა შემთხვევაში იგი შეიძლება ქინების -იან სუფიქსით შეიცვალოს, ოღონდ, რაღაც იღნიშნული სუფიქსი ამ ფუნქციით, ჩვეულებრივ, მხოლოდ არსებით სახელთან

7 იხ.: ქეგლ, VII, გვ. 76.

8 ქეგლ, VIII, გვ. 1078.

9 სუმარტყელრად დასახელებულთა მსგავსია ერთი ტიპის -ია-თი ნიწარმოები ფორმები, რომელთაც მამღეობებს უერ მივაჟუთენებთ, მაგრამ შინაარსით მოქმედებითა გვარის მამღეობებს უახლოედებიან. ესენია: ბუტია, ზაქია, პრანცია, წუნია... ფორმები. ისინა ამ სახითაც არსებობენ ენაში, მაგრამ უფრო ხშირად გამოიყენებან ნათესაობითში დასმულ სახელთან, რომელსაც, ჩვეულებრივ, ბრუნვის ნიშანი მოვალეობის აქვს, როგორიცაა: ფერიქამია, კაციქამია, ბელტიქამია, დოკაბია, ცხენიპარია, ნებისმიმარია, ზუზიჭერია, თავგიჭერია, ნამიჯრეფა, ქარიბერტყა, კა-ვილეჭია, თაკიგრეხია, ჩიტირეკა, პირლენია... (იხ. იგ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 583).

გვხვდება, ეს უკანასკნელი კომპოზიტის ბოლო წევრი უნდა იყოს: დიდთავა — დიდთავიანი, გრძელცხვირა — გრძელცხვირიანი, ლაშაზ-თვალება — ლაშაზთვალებიანი, შავტარა—შავტარიანი, თეთრწევრა—თეთრწევრიანი... კუდგრძელა — გრძელკუდიანი, ძვალმსხვილა — მსხვილძვლიანი, გულჭრელა — ჭრელგულიანი, თბახუჭრება—ხუჭრებიანი, თავყვითელა — ყვითელთავიანი, ლოყაშითელა — წითელლოყიანი... ორლულა — ორლულიანი, სამყურა — სამყურიანი, ხუთთავი — ხუთთავიანი, რვაცეხა — რვაცეხიანი, ასფურცელა — ასფურცლიანი, მრავალძარღვიანი და სხვ.

გარდა აღნიშნულისა, ქართულში გაგრცელებულია ორი (ან მეტი) არსებითი (უფრო იშვიათად ზედსართავი) სახელისაგან მიღებული ა-სუფიქსიანი ქონება-მსგავსების გამომხატველი კომპოზიტებიც.

მაგალითები:

კუდმაკრატელა, თავკაჭჭა, გულნამცეცა, ძირთაფლა, პირსისხლა, ტანშილტა, ლერწამტანა, ფეხბუმბულა, ცხვირწევტა, თვალმაყვალა, თავკომბალა, თმაქოჩორა, მუცელლმერთა... შავყვითელა, თეთრწითელა, ტებილმწარა..

აშირად აღნიშნული ტიპის ქონება-მსგავსების გამომხატველ კომპოზიტებში პირველი სახელი ნათესაობით ბრუნვაშია წარმოდგენილი.

მაგალითები:

ყვავისკულა, კაცისთავა, დევისთვალი, ხარისშებლა, ცხენისმუხლა, ჩიტისკვერცხა, ირმისტერთა, ქათმისკუჭა, ცისარტყელა, ბატისტვინა, ძალლისკბილა, თოხისტარა, ბაბუასწერა, ოქროსქოჩორა, წეროსწვივა, დედისერთა...

იშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სუფიქსი ა-კომპოზიტის ორივე შემადგენელ სახელთან დასტურდება. ამ რიგის კომპოზიტებში პირველი ა ხმოვანი ზოგჯერ კნინობითობის მაშარმოებელია.

მაგალითები:

ძალლამარტყვა, ძალლაბურა, ჩიტავაშლა, ხარაბუზა, ქალაშიჭა, პურაძვირა, ბალამწარა, ქალაშავა...

ზემოთ დანიშნულებისა და წარმომავლობის სახელებთან დაკავშირებით აღნიშნული იყო ა-სუფიქსის მასუბსტანტივებელი ფუნქციის შესახებ. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ა-სუფიქსიან ქონება-მსგავსება-თვისების გამომხატველ ზემოხსენებულ სახელებში?

ჩვეულებრივ, თვით ქონება-მსგავსება-თვისების გამოხატვა უკვე მიუთითებს იმაზე, რომ განხილული ფორმები ზედსართავი სახელებია (ამა თუ იმ საგანს რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებენ), საღაც ა-. სუფიქსს მააღიერტვებელი ფუნქცია აქვს (შდრ.: ქოჩორი — ქოჩორა, კიტრი — კიტრა, ცხვირი — ცხვირა, დიდი თავი — დიდთავა,

თეთრი წვერი — თუთოწვერა, შვიდი ფერი — შვიდფერა და სხვ). და შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში ეს ასეც არის, მაგრამ რიგ შემთხვევაში ხდება ამ სახელთა დაკონკრეტება, როცა - ა სუფიქსი უკვე მაკონკრეტებელ ფუნქციას იძენს (ა. პაპიძე). ეს კი უკვე აღნიშნული სუფიქსის კვლავ მასუბსტანტივებელ ფუნქციაზე მიუთითებს. სწორედ ამ რიგის სახელებით: ეკალა, ძირა, ქარიშხალა, სალამურა, წითელქუდა, ლურჯა, ქანქარა, მაღვიძარა, ძირმაგარა, წითელქუდა, ასფურცელა, მრავალძარღვა, ცისარტყელა, ცისკარა და სხვ.

ამგვარი გასუბსტანტივებული სახელები იმით ხასიათდება, რომ, მიუხედავად სემანტიკური მთლიანობისა, მათ ყველა შემთხვევაში შენარჩუნებული აქვთ იმ ფუძეთა მნიშვნელობა, რომლებისგანაც არიან ისინი ნაწარმოებნი.

აღნიშნული სახელების ამ თავისებურებამ შეუწყო უთუოდ ხელი ამას, რომ ამ ტიპის ფორმები, უკვე როგორც საკუთარი სახელები, გავრცელდა ტოპონიმიასა და ფიტონიმიაში (მცენარეთა სახელებში). ორსავე შემთხვევაში წარმოშობით ქონება-მსგავსება-თვისების აღმნიშვნელი, თუნდაც გასუბსტანტივებული, სახელი იძლეოდა ამა თუ იმ ადგილისა თუ მცენარის სათანადო დახასიათებას.

მაგალითები:

**ა) გეოგრაფიული სახელები:** ბოსტანა (სოფელი ამბროლაურის რ-ნში), უნაგირ (მთა სენაკის რ-ნში) ბროწეულა (რკ. საღვური ზესტაფონ-სამტრედის უბანშე), ტყემალა (ქედი და მთა ქარელის რ-ნში), მარანა (სოფელი გორის რ-ნში), ბოსელი (სოფელი თერჯოლის რ-ნში), ტალახა (მთა ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რ-ნების საზღვარზე), წითელა (მდინარე ზესტაფონის რ-ნში), მაკრატელა (მთა ახმეტის რ-ნში), ღრუბელა (სოფელი ცხინვალის რ-ნში). ქულინისლა (მთა ღუშეთის რ-ნში), წყალთბილა (სოფელი ახალციხის რ-ნში), ტაბამელა (სოფლები გარდაბნისა და ხულოს რ-ნებში), ხიდმილალა (სოფელი ლანჩხუთის რ-ნში), პირწითელა (მთა ონის რ-ნში), დიდველა (სოფელი მაიაკოვსკის რ-ნში), შავნაბაღა (მთა გარდაბნის, ჯავის, ყაზბეგის რ-ნებში), შავწყალა (მდინარე ლაგოდეხის რ-ნში), ცხრაჯვარა (მღვიმე ამბროლაურის რ-ნში), ლარისწყალა (სოფელი დუშეთის რ-ნში)...

**ბ) მცენარეთა სახელები:** ბოლოკა, ცოცხა, ეკალა, თაფლა, ზღარბა, სანთელა, ლვიძლი, ლურსმანა, ქელაბტარა, ულევალა, უკვდავა, მქბენარა... თავყვავილა, ვარდკანაფა, ვაშლატამა, კატაბალახა, თავყვითელა, ძირთეთრა, შავფხალა, დიდგამა, სამყურა, ხუთგულა, გველისკოვზა, ცხენისტილა...

ბოლოს, მოკლედ - ა-სუფიქსიან სახელთა გადვე ერთი ჯგუფის შესახებ. სახელდობრ, ძირა, პირა, აქეთა, იქითა, ზემოთა, ქვემოთა.

წინა, უკანა, ქვეშა და სხვა ფორმათა შემცველ კომპოზიტებზე, როგორიცაა:

ბუჩქისძირა, ხისძირა, ლობისძირა... ზღვისპირა, გზისპირა, წყლისპირა, საზღვრისპირა, ქუჩისპირა... პირაქეთა, პირიქითა... თავსზემოთა, მუხლსჭვემოთა... ომისწინა, თესვისწინა, მარხვისწინა... მკერდუკანა (ჯირჯვალი), სახლუკანა (ეზო)... ნიადაგქვეშა, იატაკქვეშა, წყალქვეშა, კანქვეშა, მიწისქვეშა, ენისქვეშა...

აღნიშნულ კომპოზიტთა პირველი ნაწილი ნათესაობით (ან, უფრო იშვიათად, მიცემით) ბრუნვაში დასმული სახელებია, ხოლო მეორე — წარმოშობით ზმნისართებია, რომლებიც - ა სუფიქსის დართვის შედეგად ზედსართიფ სახელებად არიან ქცეულნი. შდრ.: ძირს — ძირა, ქვემოთ — ქვემოთა, ზემოთ — ზემოთა, აქეთ — აქეთა, იქით — იქითა და სხვ.<sup>10</sup> თუმცა „-ა ზოგ შემთხვევაში არის -და, -ნა, -ზა(-ზე) ფორმანტების შენადგინების ელემენტი, მოკვეცილი ზმნისართებში: ზედა — ზედ, წინა — წინ... შემდგა გააზრდებულია მაატრიბუტივებულ სუფიქსად. ზოგჯერ -ა იგვე ემფატიკური -ა არის, გაგებული მაატრიბუტივებელ სუფიქსად: გვერდ-ით-ა (შდრ.: გვერდ-ით)“<sup>11</sup>...

აქმდე განხილული იყო - ა სუფიქსით ნაწარმოები ბოლოთან-ხმოვნიანი სახელები, რომელთაც ქონება-მსგავსება-თვისების მნიშვნელობა ჰქონდათ, მაგრამ ენაში დასტურდება (მართალია, შედარებით ნაკლები რაოდენობით) აღნიშნული შინაარსის გამომხატველი ბოლოხმოვნიანი კომპოზიტებიც.

უპირველეს ყოვლისა, -ა-ხმოვანფუძიან სახელთა შესახებ:

-ა-ხმოვანფუძიანი კომპოზიტები, რომელთაც ქონება-მსგავსება-თვისების შინაარსი აქვთ, ქართულში უფრო ხშირია, ვიდრე ამ ტიპის სხვა ხმოვანფუძიანი სახელები. შედგენილობის მხრივ ისინი თითქმის არ განსხვავდებიან ქონება-თვისების გამომხატველი ზემოთ განხილული თანხმოვანფუძიანი კომპოზიტებისაგან — მიიღებიან კვლავ არსებითი, ზედსართავი ან რაცხვითი სახელების შეერთებით. ამასთან, როგორც თანხმოვანფუძიან კომპოზიტებში, იქაც არსებითი და ზედსართავი სახელების ადგილი მყარი არ არის, პირველ ადგილზე ერთიც შეიძლება იყოს და მეორეც.

მაგალითები:

10 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1, თბ., 1973, გვ. 596; ბ. გორგენაძე, მ. კობაძე, გ. ბერიძე, ქართული ენის მორფეზებისა და მოდილური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 14-15.

11 ბ. გორგენაძე, ... დასახ. ნიშრ., გვ. 15.

## ზედსართავი სახელი — არსებითი სახელი

ასეთი შემთხვევები ქართულში უფრო ხშირია და ამ მოვლენის ასწილისას არც ის ფაქტი უნდა იყოს ნაკლებმნიშვნელოვანი, რომ ა- ხმოვანფუძიანი ზედსართავები გაცილებით ნაკლებია ენაში, ვიღრე ა-ხმოვნიანი არსებითი სახელები:

კეთილვისება, ცისფერყაბა, წითელლოყა, შავშიწა, ღიღრქა, ტკბილსიტყვა, წერილფეხა, მაღალლირსება, ჭრელჩანთა, შეეჩიხა, მო- კლეჭუბა, ხუჭუჭომა, მახვილსმენა, ლურჯტალლა, ფაფუჭფრთა, ყვი- თელქოლგა, ავენა, ცუდგუნება...

## არსებითი სახელი — ზედსართავი სახელი

თავანკარა, ბროლანკარა, ტანპატარა, ჭყუპატარა, ტუჩპაჭია, ფეხპაჭია, თვალუუშუნა, გულსუფთა, პირსუფთა, პირწმინდა, ზეწმინ- და, თმაჭილარა, თვალებჭროლა, თავლია, გულღია, პირლია...

## რიცხვითი სახელი — არსებითი სახელი

ერთარსება, ერთზომა, ერთუფლება, ერთღვთაება, ორგუნება, ორლულა, ორჩქა, სამწყება, მრავალწყება, მრავალრქა...

შედარებით იშვიათად გვხვდება ოღნიშნული ტიპის არსებითი სა- ხელებისაგან მიღებული კომპოზიტებიც, როგორიცაა: გულქვა, პირ- ქარვა, პირბამბა...

დასახელებულ კომპოზიტებში ქონება-თვისების მნიშვნელობა შეპირობებულია, ერთი მხრივ, იმით, რომ ამ სახელთა პირველი შე- მაღავენელი წევრი მუდამ ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ხოლო, მეო- რე მხრივ, როგორც ჩანს, ამას ხელს უწყობს ბოლოკილური ა ხმოვა- ნი, რომლის შესახებაც საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმუ- ლია მოსახრება, რომ იგი შეიძლება საწარმოებელი სუფიქსი იყოს. სახელდობრ, თ. უთურგაიძე წერს: „შავჩიხა ტიპის ფორმებში ა- წარმოქმნის ელემენტია: შავჩიხა მნიშვნელობით არის შავჩიხიანი, ე. ი. -ა შეონებლობას გამოხატავს. შესაძლებელია იგი მიღებული იყოს ძირებული და საწარმოებელი ხმოვნის შერწყმით... და ფუნქციაც ამ გზით ჰქონდეს შეძენრლი, ანდა ფუძისეული ა-ს ფუნქციის რეინ- ტერპრეტაციით მიჩნეულია წარმოქმნის ელემენტად“<sup>12</sup>.

ასევე, ბ. ჯორბენაძის, მ. კობაიძისა და მ. ბერიძის „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“ ვკა-

12 თ. უთურგაიძე, ზ. ჭაფარიძე, ალ. ონიანი, თანამედროვე ქარ- თული ენის ფონეტიკა, ხელნაწერი, 1976 წ., გვ. 8.

თხულობთ: „მქონებლობის — ა სუფიქსს შესაძლოა გაუტოლდეს ფუძისეული — ა: შავჩოხა...“<sup>13</sup>.

— ა-ხმოვნიან კომპოზიტთა გარდა ქონება-თვისების შინაარსი აქვს-ზოგ სხვა ხმოვანფუძიან კომპოზიტსაც. ოღონდ ამ შემთხვევაში კომპოზიტი, ძირითადად, შედგენილია არსებითი და ზედსართავი სახელებისაგან და თან ზედსართავი, ჩვეულებრივ, ბოლო აღგილზეა.

ამ რიგის მაგალითებიდან შედარებით ხშირია — ე-ფუძიანი სახელები, ხოლო — ა — და — უ-ფუძიანები იშვიათად გვხვდება იმ უბრალო შიზეზის გამო, რომ ამ ხმოვნებზე დამთავრებული ზედსართავები საერთოდ მცირე რაოდენობითაა ენაში.

მაგალითები:

დღემოკლე, კუდოკლე, კისერმოკლე, ფეხმოკლე, ხელმოკლე, სულმოკლე, ჭყუამოკლე, გულმტკიცე, პირმტკიცე, მკერდსაცე, გულსაცე, სისხლსაცე, ნიყოლსაცე, ენამწარე, ძირმწარე, ტვირთმძიმე, ფეხმძიმე, თავმძიმე, თავმჩატე, ტანმჩატე, ფეხმრუდე, ხელმარჯვე... ტანმომცრო, ყელვიწრო, ძირვიწრო, ჟელფართო, ფოფოლფართო... გულლრძუ, ენაბლუ...

დასახელებული კომპოზიტიდან ზოგს მოეპოვება ისევე თხშული სინონიმები, რომლებშიც მეორე ადგილზე უკვე ქონების. — ა სუფიქსით გაფორმებული არსებითი სახელებია, როგორიცაა: მოკლეკუდჲ მოკლეკისრა, მოკლეხელა, მწარეძირა, მჩატეთავა, ვიწროყელა, ვიწროძირა, ფართოყელა, ფართოფოთოლა...

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული და აქ მოყვანილი მაგალითებიც ადასტურებენ, ხმოვანფუძიანი სახელები ქონება-თვისების — ა-ხმოვანს კერ ირთავენ. ამ მხრივ გამონაცლისს წარმოადგენს — ე ხმოვაზე დამთავრებული რამდენიმე კომპოზიტი, რომლებიც — ა სუფიქსითაა ნაწარმოები, როგორიცაა: სამკუთხა, ოთხკუთხა, მართკუთხა, ვიწროკუთხა... ერთსახა, მრავალსახა, პირველსახა. ფართოსახა... ძირმწარა, ბალამწარა...

ისევე, როგორც ზემოთ — ა ხმოვნით ნაწარმოები თანხმოვანფუძიანი ქონება-თვისების სახელების შესახებ იყო აღნიშნული, დასახელებულ ხმოვანფუძიან კომპოზიტებსაც თითქმის ყველა შემთხვევაში მოეპოვება ქონების — იან სუფიქსით ნაწარმოები სინონიმები, რაც აგრეთვე ადასტურებს პირველთა ყოლა-ქონების მნიშვნელობას: კეთილთვისება — კეთილთვისებიანი, ცისფერკაბიანი, წითელლოყა — წითელლოყიანი, შავჩოხა — შავჩიხიანი, ხუჭუჭოთმა — ხუჭუჭოთმიანი, ცუდგუნება — ცუდგუნებიანი... ტანპატარა — პატარა-ტანიანი, თმიჭაღარა — ჭაღარათმიანი, გულსუფთა — სუფთაგულიანი.

ნი... ურთარსება — ურთარსებიანი, ორგუნება — ორგუნებიანი, სამწყება — სამწყებიანი... კუდმოკლე — მოკლეკუდიანი, დღემოკლე — მოკლედღიანი, გულმრტკაცე — მტკიცეგულიანი, მკერდსავსე — სავსემკერდიანი, ენამწარე — მწარეენიანი, ტკირთმძიმე — მძიმეტკირთიანი, თავმჩატე — მჩატეთავიანი, ფეხმრუდე — მრუდფეხიანი... ზელვიწრო — ვიწროყელიანი, ძირვიწრო — ვიწროძირიანი, ფოთოლფართო — ფართოფოთლიანი... გულდრძუ — ღრძუგულიანი...<sup>14</sup>.

დასახელებულ ხმოვანფუძიან სახელებში, როგორც ჩანს, იგივე ვითარებაა, რაც ქართულში საკმაოდ გავრცელებულ თანხმოვანფუძიან კომპოზიტებში, რომელთაც სუფიქსი -ა არ ვააჩნიათ, მაგრამ ქონება-თვისებას მაინც გამოხატავენ. ასეთ სახელებშიც, როგორც წესი, ბოლო წევრი ზედსართავი სახელი ან ვნებითი გვარის მიმღეობაა, ხოლო პირველი — ფუძის სახითა წარმოდგენილი, როგორიცაა: ძვალმსხვილი, წელწერილი, ტანმაღალი, ხმამაღალი, ყელდაბალი, თავდიდი, ყურდაბდი, თავბრტყელი, ტანხმელი გულჭრელი, გულცივი, ცხვირგრძელი, ტუჩითხელი, თმახუჭუჭი, თმაშავი, კანთეთრი, გულყვითელი, გვერდწითელი, ლოყაწითელი, სიტყვატკბილი, ენაგრძელი, ენაჩლუნგი, სახელამაზი... თავდადებული, გულგატეხილი, ხელვაშლილი, სულგანაბული, ყურმოჭრილი, ცრემლმორეული და სხვ.

ჩამოთვლილ ფორმებს აკ. შანიძე შერწყმულ ქონების სახელებს, ანუ შემოკლებით — შერწყმულ ქონებისას უწოდებს და აღნიშნავს, რომ „ესენიც... ქონების სახელებია, მაგრამ იმათვან იმით განსხვავდებიან, რომ ესენი აღნიშნავენ ქონებას არა საგნისას მარტივად, არამედ გარკვეული ნიშნით წარმოდგენილი საგნისას. ეს განსხვავება ნათლად დაჩნდება, თუ შევადარებთ ერთმანეთს ისეთ სახელებს, როგორიცაა: რქიანი და რქა-თეთრი ან რქა-მოტეხილი, კუდიანი და კუდ-მოკლე ან კუდ-ამოძუებული, ხელიანი და ხელ-მარჯვე ან ხელ-მოტეხილი და მისთ“<sup>15</sup>.

აღნიშნულ კომპოზიტებში ზედსართავი სახელი, ბუნებრივია, თავის განმსაზღვრელ ფუნქციის ასრულებს და -ა სუფიქსის გარეშეც გამოხატავს საგნის ნაშან-თვისებას. ამიტომ, როგორც ზემოთ დასახელებულ კომპოზიტებს, ამათაც თითქმის ყველა შემთხვევაში მოეპოვებათ -იან სუფიქსით ნაწარმოები სინონიმები: ძვალმსხვილი — მსხვილდელიანი, წელწერილი — წერილწელიანი, ტანმაღალი — მაღალტანიანი, ყულდაბალი — დაბალყელიანი, თავდიდი — დიდთავიანი, გულცივი — ცავგულიანი, ცხვირგრძელი — გრძელცხვირიანი,

14 ჩამოთვლილი სინონიმებიდან ენაში ხშირად უცრო გავრცელებულია სწორედ -იან-სუფიქსიანი კომპოზიტები.

15 აკ. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 158—159.

თმახუჭუჭი — ხუჭუჭითმიანი, კანთეთრი — თეთრკანიანი, სახელაზაზი — ლამაზისახიანი, გულვითელი — უვითელგულიანი, ენაგრძელი — გრძელენიანი...

მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ენაში არსებობს დასახელებულ კომპოზიტთა, მართალია, შედარებით ნაკლები რაოდენობის, -ა-ხმოვიანი ვარიანტებიც: ძვალმსხეილა, წელწერილა, ყველდაბალა, ყურდიდა, ცხვირგრძელა, თავდიდა, ტანხმელა, გულწრელა, ყურქვეიტა, თმახუჭუჭა, თვალშავა, თავყვითელა, ლოყაწითელა და სხვ.

უველა ექამდე განხილულ პარალელურ — -ა-სუფიქსიან და უსუფიქსო ფორმებს, გარდა მეტ-ნაკლები გავრცელებულობისა, ენაში შეიძლება ზოგ შემთხვევაში განსხვავებული სტილისტიკური ნიუანსიც ახსიათებდეს.

ზემოთ დასახელებული იყო ქონება-თვისიების -ა-სუფიქსიან სახელთა პარალელური უსუფიქსო კომპოზიტები და ასეთ კომპოზიტებში ბოლო აღვილზე ზედასართავი სახელი იყო. ქონების ისეთ -ა-სუფიქსიან სახელებს კი, რომლებშიც ბოლო აღვილზე არსებოთ სახელია, ასეთი პარალელური ფორმები არ გააჩნიათ. ენაში არ არსებობს: დიდთვალება-ს პარალელური დიდთვალები, გრძელცხვირასი — გრძელცხვირი, სქელყისერასი — სქელყისერი, მაღალყელასი — მაღალყელი, თხელგანასი — თხელგანი, წითელბურანგასი — წითელბურანგი, შავტარასი — შავტარი და ა. შ.

ოუმცა ამასთან დაკავშირებით უნდა იღინიშნოს უსუფიქსო კომპოზიტთა ერთი ჯგუფი, რომლებშიც სწორედ არსებითი სახელია ბოლო აღვილზე. მხედველობაში გვაქვს ფორმები: ავგული, დიდგული, ერთგული, ორგული, ავსული, ორსული, ავხორცი, ორბირი, წვრილფეხი, ორფეხი, სამფეხი, ოთხფეხი, ოთხთავი, მრავალთავი და მსგავსი სახელები.

ბევრ მათგანს ენაში ქონების -ა-სუფიქსიანი ვარიანტებიც მოებოვება: დიდგულა, ორგულა, ორბირა, წვრილფეხა, სამფეხა, ოთხთავა, მრავალთავა და სხვ., მაგრამ ამ ფორმითა შედარებისას აშეარიხდება ის სემანტიკური სხვაობა, რაც მათ შორის არსებობს, სახელდობრ, თუ დიდგულა დიდგულიანს, დიდი გულის მქონეს ნიშნავს, დიდგული დღეს მედიდურის, ამაყის, ამპარტავნის, ქედმაღლის სინონიმად გამოიყენება. ასევე: ერთგულა ერთგულიანი, ერთი გულის მქონეა, ერთგული კი — თავდადებული, სიმედო, სანდო; ორგულა ორგულიანს, ორი გულის მქონეს ნიშნავს (მაგალითად, ორგული თხილი ან აღამიანი — მედიცინის ისტორიაში ასეთი შემთხვევებიც არის აღწერილი), ორგული კი — მოღალატეს, მუხანათს; ორბირა ქართულში აღნიშნავს ორპირიანს, ორი პირის მქონეს (მაგალითად, ორპირა

დანა), ორპირი კი — ფლიდს, გაუტანელს, სიტყვის გამტებს; წვრილ-ფეხა და ოთხფეხა კერძოდ წერილი ან ოთხი ფეხის შემონეს მნიშვნელობით იხმარება და ყველა იმ საგნის დასახასიათებლად შეიძლება გამოვიყენოთ, ვისაც ან რასაც ფეხები აქვს (მაგ., მაგიდის, სკამი...), წვრილფეხი და ოთხფეხი კი მხოლოდ პირუტყებს, სექონელს აღნიშნავს; ასევე, ოთხთავა ოთხთავიანი, ოთხი თავის მქონეა (ძირითადი, ამოსავალი მნიშვნელობით), ხოლო მრავალთავა — მრავალთავიანი, მაგრამ ოთხთავი დღეს სახარების მნიშვნელობით იხმარება, მრავალთავი კი დღელი ქართული ლიტურგიული კრებულია, რომელშიც დიდი საეკლესიო დღესასწაულებისათვის განკუთვნილი საკითხავებია თავმოყრილი.

ამგვარად, როგორც მოყვანილი მაგალითებიც გვიჩვენებს, აღნიშნული ტიპის უსუფიქსო კომპოზიტები ქონება-თვეისების შინაარსი-საგან დაცლილია. მათში არც შემაღენელ ელემენტთა ცალკეული მნიშვნელობა გაიაზრება (რასაც ვერ ვიტყვით -ა-სუფიქსიან სახელებზე) და ერთცნებიან კომპოზიტებს წარმოადგენენ.

დასასრულ, ქონების -ა-სუფიქსიან სახელთა ორთოგრაფიისა და ბრუნების შესახებ.

ეს საკითხები საენათმეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილი, ძირითადად გადაწყვეტილი და ნორმის სახით მიღებულია. ამიტომ მათ ჩვენ აქ მოკლედ მხოლოდ -ა-სუფიქსიან სახელთა შესწავლის სისრულის მიზნით წარმოვადგენთ.

-ა-სუფიქსიან კომპოზიტთა დაწერილობა ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ყოველთვის ერთგვარი არ ყოფილა; ზოგჯერ მათ დეფისით წერდნენ<sup>16</sup>, ზოგი ივტორი კი აღნიშნულ ფორმათა ერთ სიტყვად დაწერას ამჭობინებდა.

ამეამად აღნიშნული საკითხის შესახებ შემუშავებული და დამტკიცებულია ნორმა, რომლის მიხედვით დასახელებული -ა-სუფიქსიანი კომპოზიტები „ერთად, ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს“<sup>17</sup>. სწორედ ეს ნორმა ასახული „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ და ამ ნორმას ემყარება მთლიანად „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონიც“.

ქონება-შეგავსების აღმნიშვნელ სახელთა დიდი რაოდენობა, როგორც ზემოთაც იყო ნაჩვენები, ძირითადად, ზედსართაული მნიშვნელობისაა და, ჩვეულებრივ, არსებით სახელს ახლავს, მაგრამ, რო-

16 ასე იყო ძველ გრამატიკოსებთან და ხშირ შემთხვევაში ამავე დაწერილობას უკერდა მხარს აქ. შანიძე ე. იბ. ზისი: დასახ. ნაშრ., გვ. 153—162.

17 რთული სიტყვების (კომპოზიტების) დაწერილობა: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I კრებული, თბ., 1970, გვ. 155.

շորհը ուժված, առ սեղա Շեմտեզեզեծի օնցատո, հոգեսաց ալնի՛նու-  
լո թարմոցին դորմա ճամուշութեցնա օնմարյած.

Ահսեցու Տաելուտան ցրտաց եմարյածին յանցեցին պայլա Տաելու  
մատեղարյալ-Տաթլուրյալու ծրունքին գուցեցնու թյուս մուգեց և ամ  
մերոց յնամա պայլայուրո ցարկայուլուն.

Իս մջամարյածին օնցա Շեմտեզեզեծի, հոգեսաց յանցեա-միցաց-  
սեցին Տաելութեց ճամուշութեցնա ցամուցունեծ, անու, հոգեսաց հյա-  
լուրու մատ ծրունքեանց Տայնարո? <sup>18</sup>

Մատուցու պայլանս, -ա-սոյոյի մարտուն տանեմուանդումուն Տա-  
ելուտ Շեսանց:

Ըստ յանցեալուն ալնի՛նուլ գործատա ծրունքին ցարկայուլո թյուս  
ահսեցնան, Տաելուրուն, պայլա յս Տաելու մեռլուռուն հուցեցնու պայլա-  
լուն, եռլու մրացլուն ի կայցաս ցանուցուն<sup>19</sup>, մացրամ, ամատան,  
ութիշուած-պայլան Տաելունցինսացան ցանսնեայուն, ուստին Շոշնուա եռ-  
ցան առ ցանուցուն Տոնկույս... թարմոյին ա- յլումենիո ուստիս ցեր  
կումիցաց<sup>20</sup>.

Ամջենած, ցայչես:

յահորու — յահորոսո — յահորյածո

մայարու — մայարասո — մայարյածո

մոյլոյիսերու — մոյլոյիսերասո — մոյլոյիսերյածո

լոյսաթիուլու — լոյսաթիուլասո — լոյսաթիուլյածո

մոյուրուլու — մոյուրուլասո — մոյուրուլյածո դա ա. թ.

(Ցուր.՝ յահորու — յահորոս, մայարու — մայարասո, յոյսերու — յոյս-  
րաս, թուուլու — թուուլասո, ուստիրուլու — ուստիրուլաս).

Ալնի՛նուլ Տաելուտա ծրունքին յս թյուսու ցարտարյեցնուն յանցու-  
լուն ցնու ցանմարյեցնուտա դա որոնցը գոյուլ լոյյիսոյունցնուն.

Ամատանաց, Շենի՛նուն Տաելուտ Շյուլը ալնի՛նուն, հոմ -ա-սո-  
յոյիսուն Տաելուտա ծրունքին ամյամա մուղեցնուլու դա ցայրուցնուեցնուլո  
յս թյուսու, իսեն, պայլալուն առ ոստ պայլաս մոյր ցանուարյեցնուլո. մաց-  
լունաց, միյրալու դա պայլան ալն ալունալուն տրուու. օլ. ծեցամիուն թյուրլա: „Քեմո ան-  
րուտ, ույ ա-նյ ցատայուրուլու Տաթլուց Տաելուրյածու սուլոյցի ահսեցն-  
ինսա — մամուն ուսուն պայլալու լոյյիրաս ուտիրու, ըորուռաս ծոյ-  
ծուլու, դուցցուլաս պայլահուն, ծոլոյիանյարու Տոլամանց, բայլմայրո-

18 Ամիս ալնի՛նուն մուղեցն ցանդա Տայնու, հոմ մարտացա նուցանուա Տաելու-  
լուն ճամուշութեցնա առ օնմարյած դա մատու ծրունքին Տայնուանյարուն յնամա հյա-  
լուրուն առ անսեցնան.

19 այ. Շանուար, գասես. նամակ, ց. 66.

20 ո. ու ու հցանուար, գասես. նամակ, ց. 211.

ტელას ჭიდვიყო...), თუ უსულო საგნებისა, — კვეცადია (ცისარტყელის ფერები, სახრჩობელის დღმართვა)“<sup>21</sup>...

ალბათ, ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ამ მოსახრებას ორართო დაპროლება ახლავს და იგი მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია. ამდენად, ბუნებრივია, რომ ქართულ სენატმეცნიერო ლიტერატურაში ეს საკითხი იმგვარად არც იდრე დასმულა და არც ახლა ისმის.

ახლა, რაც შეეხება ქონება-თვისების ფუნქციის მქონე ბოლო-ხმოვნიან კომპოზიტთა ბრუნებას.

ამ რიგის ზემოთ დასახელებული -ე, -ო და -უ-ხმოვანფუძიანი კომპოზიტები, როგორც მოსალოდნელი იყო, ბრუნების მხრივ არავითარ თავისებურებას არ იყლენენ და ამ ტიპის სხვა სახელთა მსგავ-სად იძრუნვიან. სხვანაირად: -ე-ფუძიანები კვეცას განიცდიან, -ო-და -უ-ფუძიანები კი უკვეცელ სახელებს განეცუთვნებიან და იმის მიხედვით გვაჩვს: დღემოკლე — ნათ. დღემოკლისა, ხელმირჯვე — ხელმარჯვისა, გულმტკიცე — გულმტკიცისა, სისხლსაცსე — სისხლ-საცსისა, ენამწარე — ენამწარისა, ტვირთმძიმე — ტვირთმძიმისა, თავ-მჩატე — თავმჩატისა, ფეხმრუდე — ფეხმრუდისა... ტანმომცრო — ტანმომცროსი, ძირვიწრო — ძირვიწროსი, ყელფართო — ყელფარ-თოსი... — გულლრძუ — გულლრძუსი, ენაბლუ — ენაბლუსი და ა. შ.<sup>22</sup>.

ამ მხრივ ცალკე დგას -ა-ხმოვანფუძიან კომპოზიტთა (წითელყა-ბა ტიპის) ბრუნების საკითხი.

ზემოთ ასეთ სახელთა უესახებ მსჯელობისას მოყვანილი იყო მართებული მოსახრება, რომლის მიხედვითაც -ა ხმოვანი წირმო-ქმნის ელემენტად იყო მიჩნეული.

თუ ეს ასეა, მაშინ აღნიშნული კომპოზიტების ბრუნებაც დაე-მორჩილება იმ საერთო წესს, რომელიც არსებობს -ა-სუფიქსდარ-თულ თანხმოვანფუძიან სახელთათვის და მივიღებთ, რომ „ზოგი სა-ხელი, რომელიც დამოკლებლად ხმარებისას კვეცადა, ზოგიერთ რთულ ფუძეში უკვეცელი ხდება: ჩოხა — ჩოხის, მაგრამ შაგჩოხა — შავჩოხასი, კაბა — კაბის, მაგრამ წითელყაბა — წითელყაბასი და სხვა“<sup>23</sup>.

ზემოთქმულის მიხედვით გვექნება: წითელლოყა — ნათ. წითელ-ლოყასი, ტკბილსიტყვა — ტკბილსიტყვასი, ავგუნება — ავგუნებასი,

21 იხ. მისა რეცეზია: „ქართული სიტყვის კულტურის საქითხები“, ქურნ. „პრიტიკა“, 1988, № 1, გვ. 33.

22 იხ. ქართული ენის ვანშერტებითი ლექსიკონი (რვატომცული), ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი (1968).

23 თ. უთუ რგაიძე, ... დასტ. ნაშრ., გვ. 8.

ხუჭუჭოთა — ხუჭუჭოთასი, თვალუშუნა — თვალუშუნასი, გულდია — გულლიასი, პირწმინდა — პირწმინდასი. თბაჭალარა — თბაჭალარასი, ორგვერა — ორგვერასი, ორლულა — ორლულასი, მრავალწყება — მრავალწყებასი, ცალყბა — ცალყბასი, გულქვა — გულქვასი, პირბამბა — პირბამბასიდა ა. შ.